



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

www.ozurgeti.gov.ge

ქ. ოზურგეთი

N 35
30/06/2017

35-03-4-201706301406



განკარგულება №35
30 ივნისი 2017 წელი

„ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.ვ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 61-ე მუხლისა და „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის N215 დადგენილების შესაბამისად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. დამტკიცდეს „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხა“ თანახმად დანართისა.


მუხლი 2. ამ განკარგულების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამტატო

ნუსხის დამტკიცების შესახებ” - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ოქტომბრის N81 განკარგულება.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 4. განკარგულება ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან.

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა